პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 39 (11650)

სამშაბათი, 16 თებერვალი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

წერილი ნ. ს. ხრუშჩოვისა და კ. ე. ვოროშილოვისადმი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების მე-10 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს მიხასალმებელი წერილით მიმართეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ლიუ შაო-ციმ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ჯუ დემ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ.

წერილში ხაზგასმულია, რომ ამ ხელშეკრულების დადება უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა. ხელშეკრულებამ უდიდესი გავლენა მოახდინა და კვლავაც მოახდენს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის აყვავებაზე, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და კაცობრიობის პროგრესის საქმეზე.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის კავშირი მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი ბურჯია, აცხადებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები. განვლილ ათ წელიწადში ჩინეთმა, საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა სახელმწიფოებმა, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ერთიანი ბრძოლაში, დიდი წვლილი შეიტანეს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში, იმპერიალისტური აგრესიისა და ომის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. წერილში გამოთქმულია იმის რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალისტური ბანაკის, აგრეთვე [illegible] ყველა ხალხებისა და ქვეყნების ერთობლივ ღონისძიებათა მეოხებით — შვიდობის დაცვის საქმე აუცილებლად მოიპოვებს კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებებისა [illegible] ბის მტრები აწყობენ.

მისასალმებელ წერილში ნათქვამია, რომ ჩინელი ხალხი ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ მომავალ წლებში ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დიადი კავშირი კიდევ უფრო დიდ წვლილს შეიტანს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში.

(საკდესი).

გედნიერება და მშვიდობა ყველა ადამიანს დედამიწაზე!

„დღეს იხსნება საბჭოთა საზოგადოებრიობის კონფერენცია განიარაღების საკითხზე.

ჩვენი ქვეყნის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელნი, ყველასაჩინო მეცნიერები, ეკონომისტები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მთელი ჩვენი ხალხის დელეგატები იკრიბებიან მოსკოვში, რათა ერთხელ კიდევ გამოაცხადონ საბჭოთა ადამიანების ნება — ძალღონის დაუზოგავად იბრძოლონ მსოფლიოსათვის, სადაც არ იქნება იარაღი, მსოფლიოსათვის, სადაც არ იქნება ომები. ახეთია დიდი და კეთილშობილური მიზანი, რომელიც ახლა აღაფრთოვანებს მილიონობით ადამიანს ყველა კონტინენტზე.

თავიდან აიცილონ ომი — ეს არის მშვიდობის ყველა მომხრის, ყველა ხალხის, ყველა პარლამენტისა და მთავრობის დიადი მოვალეობა!

ამისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა გადაჭრას განიარაღების პრობლემა — პირველი პირველ საკითხთაგან, რომლებიც დასახულია კაცობრიობის წინაშე. იმაზე, თუ როგორ გადაჭრება ეს საკითხი, დამოკიდებულია მსოფლიოს ბედი.

განიარაღების საქმეში საბჭოთა კავშირის მთავრობა ხელმძღვანელობს ჩვენი ხალხის მშვიდობისმოყვარული მისწრაფებებით, იმ მაღალი ჰუმანისტური იდეალებით, რომლებიც დამახასიათებელია სოციალიზმისათვის და რომლებითაც გამსჭვალულია ჩვენი საზოგადოების მთელი ცხოვრება, ხელმძღვანელობს ბრძნული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით, რომელიც დიდმა ლენინმა გამოაცხადა.

ისტორიას არ ახსოვს უფრო კეთილშობილური მოწოდება, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მოწოდება, რომელიც მოიხოვს საყოველთაო და სრულ განიარაღებას. ეს მოწოდება განმტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის გადაწყვეტილებით, რომელმაც, როგორც ცნობილია, მიიღო კანონი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 1 მილიონ 200 ათასი კაცით შემცირების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ხესიის გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მთელმა საბჭოთა ხალხმა. მთელ ჩვენს ქვეყანაში გამართულმა მიტინგებმა და კრებებმა ცხადყვეს მილიონობით საბჭოთა ადამიანის ერთიანობა და მჭიდრო დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება განახორციელოს შვიდწლედის დიდებული დავალებანი. არასოდეს არ გვქონია ჩვენ ისეთი ყოვლისმომცველი გეგმა, როგორიც შვიდწლედია, სადაც გათვალისწინებული და მოფიქრებულია ყველაფერი: დაწყებული გიგანტური ელექტროსადგურებით და გათავებული ბავშვის სათამაშოებით, დაწყებული დიდი ქიმიით და გათავებული ბალებითა და ვენახებით. ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი მისი კეთილდღეობისათვის! აი ჩვენი დიადი მიზანი, აი იმ უდიდესი მუშაობის აზრი, რომელსაც კომუნისტების ლენინური პარტია ეწეოდა და ეწევა.

მშრომელთა მიტინგებსა და კრებებზე მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმა საბჭოთა ხალხის ხმა, რომელიც უაღრესად დაინტერესებულია მშვიდობით დიადი და მშვიდობიანი საქმეების განხორციელებისათვის.

თავის გამოსვლაში მიტინგზე მოსკოვის ელექტრონათურის ქარხნის მეტალიფრემ ზ. ნ. რახეევამ თქვა:

— შეიარაღებული ძალების შემცირება მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი არ აპირებს თავს დაესახა რომელიმე ქვეყანას. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ომი გვძულს; ჩვენ არ დაგვიწყებია უბედურებანი, რომლებიც წარსულმა ომმა მოგვიტანა. ახლა ჩვენი ქვეყანა ისე ძლიერია, როგორც არასოდეს არ ყოფილა. საბჭოთა ადამიანები მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომას ეწევიან. მათ სურთ მშვიდობით და მეგობრობით იცხოვრონ სხვა ხალხებთან.

უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვიეს აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა გულში.

დიპლომატები და პოლიტიკური მოღვაწეები მრავალი წლის განმავლობაში განიხილავდნენ განიარაღების პრობლემას. დაიწერა ტონობით ქაღალდი, წარმოითქვა ათასობით სიტყვა. მაგრამ მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ დააყენა ეს პრობლემა პრაქტიკულ რელსებზე. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რითაც დაიწყო განიარაღებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი, დასახა ახალი მიდგომა ამ პრობლემის გადაჭრისადმი, დასახა გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიც ეს პრობლემა მოაქციეს გამლებული შეიარაღების მომხრეებმა.

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

Коммунистическая партия Советского Союза

ПРАВДА

Орган Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза

15 თებერვლის მოწინავე

• • •

მსოფლიო ხაზოგადოებრიობამ ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ეს გამოსვლა. და ის, თუ რა გულითადად მიესალმება ინდოეთი დღეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, ის უღრმესი ყურადღება, რომლითაც შეხვდნენ მის გამოსვლებს, თვალნათლივ მოწმობს ყველა იმათ დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, მისი მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკისადმი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე.

— ხასიხარული, დიდებული პერსპექტივები, — ამბობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ინდოეთის პარლამენტში, — ისახება ახლა კაცობრიობის წინაშე. ბედნიერება და მშვიდობა ბედღეს და კიდევაც უნდა გახდეს დედამიწაზე ყველა ადამიანის ხვედრი. მაგრამ ამისათვის საჭიროა კაცობრიობა განთავისუფლდეს გამლებული შეიარაღების ტვირთისაგან, საშუალება მიეცეს მთელი მკერდით ჩაისუნთქოს მშვიდობის სუფთა ჰაერი. ამისათვის საჭიროა, რომ მშვიდობა და მეგობრობა ბატონობდეს ყველა ხალხის ურთიერთობაში, როგორც ბატონობს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის ურთიერთობაში.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის განხორციელება, სასიკეთო ზემოქმედებას მოახდენს ყველა ხალხის ცხოვრებაზე. იგი საშუალებას მოგვცემს მსოფლიოში არსებული მთელი რესურსები მოვახმაროთ ხალხთა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, შექმნის ახალ გრანდიოზულ შესაძლებლობებს ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი დახმარებისათვის, კაცობრიობის ყოველმხრივი პროგრესისათვის.

ჩვენ ვიცით, როგორ შეხვდნენ განიარაღების საბჭოთა წინადადებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი. „ყველაზე საშინელი, — თქვა ერთ-ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა, — ის არის, რომ შეუძლებელია გამოხვიდე ამ გეგმის წინააღმდეგ. ყველას სურს განიარაღება“.

დიახ, ყველას სურს განიარაღება! და რაც უნდა ამახინჯებდნენ მშვიდობის მტრები საბჭოთა წინადადებების აზრს, ეს წინადადებები დაეუფლა ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანის შეგნებას და ახლა უძლეველი მორალური ძალა გახდა. მშვიდობის მტრები ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირი უკონტროლო განიარაღების მომხრეა. ეს სიცრუეა! ყველა წინადადება განიარაღების შესახებ, რომლებიც ოდესმე წამოუყენებია საბჭოთა კავშირს, მუდამ ითვალისწინებდა კონტროლის საჭირო ღონისძიებებს.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკას განიარაღების საკითხებში. ნ. ს. ხრუშჩოვის კონკრეტულ ნაბიჯებს ამ მიმართულებით მხურვალედ უჭერს მხარს უძლეველი სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანა, სადაც არ არიან გამლებული შეიარაღებით დინტერესებული ძალები. მას მხარს უჭერენ აზიისა და აფრიკის ქვეყნები, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან, მხარს უჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი—მრავალი ახეული მილიონი ადამიანი.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა — თანამედროვეობის ყველაზე მძლავრი მოძრაობა — ფართოვდება ინგლისში, სადაც ამას წინათ მოიწყო დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა „აღმოსავლეთი-დასავლეთი“, საფრანგეთში, იტალიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში. იგი ფართოვდება ლათინურ ამერიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მოძრაობამ უკვე ბევრი რამ გააკეთა და აკეთებს იმისათვის, რომ განამტკიცოს ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი, ამხილებს იმათ პროვოკაციებს, ვისაც სურს განაგრძოს გამალებული შეიარაღება, განაჩლოს ატომგულის იარაღის გამოცდა, გააძლიეროს „ცივი ომი“.

მიმდინარე წელი უნდა გახდეს ყველა მშვიდობის მომხრის ძალთა ახალი კონსოლიდაციის წელი. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა თავის ერთ-ერთ უკანასკნელ გადაწყვეტილებაში სამართლიანად აღნიშნა, რომ „ხალხთა ნება, რომელმაც შესაძლებელი გახადა სახელმწიფო მოლვაწეთა შეხვედრები, უნდა გამოვლინდეს კიდევ უფრო მეტი ძალით, სანამ მიღებულ არ იქნება განიარაღების ქმედითი ღონისძიებანი“.

საბჭოთა ადამიანები ღრმად დარწმუნებული არიან, რომ ყველა მშვიდობის მომხრის ნება და მათი ღონისძიებების გაერთიანება აქტიურად შეუწყობს ხელს განიარაღების პრობლემის გადაჭრას. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობის კონფერენციის დელეგატები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ საბჭოთა ადამიანების უძლეველ მორალურ-პოლიტიკურ შეკავშირებას მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ადამიანები ხულით და გულით უსურვებენ წარმატებას კონფერენციას, რომელიც დღეს იხსნება. მათ სურთ, რომ ამ კონფერენციამ გაამრავლოს საბჭოთა მშვიდობის მომხრეების წვლილი მსოფლიო კამპანიაში განიარაღებისათვის, განამტკიცოს ყველა იმათი თანამშრომლობა, ვინც მშვიდობისათვის იბრძვის.

დაე დღეს ახალი ძალით გაისმას მთელ მსოფლიოში საბჭოთა ხალხის ხმა:

— შეწყდეს გამალებული შეიარაღება, მივაღწიოთ სრულ და საყოველთაო განიარაღებას, შეუძლებელი გავხადოთ ომი!

კაცობრიობის ეს საუკუნეობრივი ოცნება შეიძლება განხორციელდეს და კიდევაც უნდა განხორციელდეს — ასეთია დროის მოთხოვნა, ასეთია ხალხთა ვბრძანებლური მოთხოვნა!

ნ. ს. ხრუშჩოვი სურატგარჰში

დელი, 13 თებერვალი. საკდესის სპეც. კორესპონდენტები ვ. კონდრაშოვი და ი. ტრუშინი იუწყებიან: დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. უ. ულჯაბაევი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი, აგრეთვე ინდოეთის სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ს. კ. პატილი, ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და სხვა ოფიციალური პირები, ეწვია და დათვალიერა სურატგარჰის სახელმწიფო მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო ფერმა (რაჯასტანის შტატი).

ინდოეთის ეს უდიდესი ფერმა შექმნილია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მოწყობილობის ბაზაზე, რომელიც ინდოეთის მთავრობას საჩუქრად გადასცა საბჭოთა კავშირის მთავრობამ.

სურატგარჰის დაახლოს-მახლო სოფლების ათასობით გლეხი შეიკრიბა აეროდრომზე საბჭოთა საპატიო სტუმრის მისასალმებლად. აეროდრომი სადღესასწაულოდ არის მორთული საბჭოთა და ინდოეთის სახელმწიფო ალმებით, ყვავილების გირლანდებით. ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად აღმართულ თაღზე არის მისალმების სიტყვები — წარწერა რუსულ ენასა და ჰინდი ენაზე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ შემხვედრთ ხელში აქვთ ყვავილები, ნ. ს. ხრუშჩოვისადმი მისასალმებელი ლოზუნგები, რომლებიც მოუწოდებენ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

ტაშის გრიალით, შეძახილებით „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობას“, „გაუმარჯოს ხრუშჩოვს“ შეკრებილნი მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც გამოჩნდა თვითმფრინავის კიბეზე. საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულითადად მიესალმებიან რაჯასტანის შტატის მთავარი მინისტრი მოჰანლალ სუქჰადია, სახელმწიფო ფერმის დირექტორი მაჰადეო სინგჰი, რაჯასტანის შტატის მთავრობის წარმომადგენლები და ფერმის ადმინისტრაცია.

ფერმის დათვალიერების წინ მაჰადეო სინგჰმა მოკლედ გააცნო ნ. ს. ხრუშჩოვს ფერმის შექმნისა და განვითარების ისტორია, ის წარმატებანი, რომლებსაც ფერმის კოლექტივმა მიაღწია უკანასკნელ წლებში. მან თქვა, რომ ამჟამად ფერმის მინდვრებში მუშაობს 70 ტრაქტორი, კომბაინი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა, რომლებიც საბჭოთა კავშირმა აჩუქა ინდოეთს. ეს, ხაზი გაუსვა მაჰადეო სინგჰმა, ძალიან კარგი მანქანებია. ჩვენი მუშები სიამოვნებით მუშაობენ ამ მანქანებით. მაჰადეო სინგჰმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა სპეციალისტების მუშაობას ფერმის ორგანიზაციის საქმეში. მათ ძალიან ბევრი და ძალიან კარგად იმუშავეს და ნამდვილი ძმები იყვნენ ჩვენთვის, თქვა მან.

ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ღიად ავტომანქანებში სხდებიან და ფერმის დათვალიერებას იწყებენ. მანქანები მიდიან სახელმწიფო ფერმის ვრცელი მინდვრების გაყოლებით, ჩერდებიან მდოგვის ნათესებთან, შაქრის ლერწმის, ბამბის პლანტაციებთან, მარცვლეულის ნათესებთან და სხვ. ნიკიტა სერგის-ძეს აინტერესებს ცალკეული კულტურების მოსავლიანობა და შემოსავლიანობა, მათი დამუშავებისა და აღების მეთოდები.

ბამბის მინდორში ნ. ს. ხრუშჩოვს, მაჰადეო სინგჰსა და ტ. უ. ულჯაბაევს შორის გაცხოველებული საუბარი გაიმართა. ნ. ს. ხრუშჩოვმა უამბო მაჰადეო სინგჰს, თუ რა დიდი წამატებები მოიპოვეს საბჭოთა მებამბეებმა და, კერძოდ, ტაჯიკეთის მებამბეებმა. მე გირჩევდით, ამბობს ნიკიტა სერგის-ძე, გაგზავნოთ რამდენიმე კაცი ტაჯიკეთში, რათა მთელი სეზონის განმავლობაში იმუშაონ ამ რესპუბლიკის ბამბის მინდვრებში. თვითონ მხრივ ტაჯიკეთის მებამბეებიც ჩამოვიდოდნენ თქვენთან და აქ იმუშავებდნენ. ეს გამოცდილების კარგი ურთიერთგაზიარება იქნებოდა.

ფერმის დათვალიერების დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვმა დარგო მანდარინის ხე ხეხილის ბაღისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე. სპეციალურად აღმართულ პოსტამენტზე გაკეთდა წარწერა რუსულ და ჰინდი ენებზე:

„სურატგარჰის ცენტრალური მექანიზებული ფერმა. პირველი ხე წელს დარგო მისმა აღმატებულებამ ბატონმა ნ. ს. ხრუშჩოვმა 1960 წლის 13 თებერვალს, როცა ეწვია ამ ფერმას“.

ხის დარგვის დროს მაჰადეო სინგჰმა უთხრა საბჭოთა მთავრობის მეთაურს, რომ ხე, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა დარგო ბომბეიში 1955 წელს, უკვე ისხამს ნაყოფს.

ფერმის დათვალიერების შემდეგ ინდოეთის სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ს. კ. პატილმა საუზმე გამართა ნ. ს. ხრუშჩოვისა და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად.

ნ. ს. ხრუშჩოვი დელიში

დელი, 13 თებერვალი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები დელიში დაბრუნდნენ სურატგარჰში მოგზაურობიდან, სადაც გაეცნენ სახელმწიფო მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო ფერმას.

დელი, 13 თებერვალი. (საკდესი) დღეს ნ. ს. ხრუშჩოვმა ა. ა. გრომიკოს, ნ. ა. მიხაილოვის, გ. ა. ჟუკოვისა და სხვა პირების თანხლებით ინახულა რუსი მხატვრის სვიატოსლავ რერიხის გამოფენა, რომელიც ამას წინათ გაიხსნა დელიში. გამოფენის შესასვლელთან ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ სვიატოსლავ რერიხი და ინდოეთის კულტურის მინისტრი ჰ. ქაბირი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა გამოფენა, სადაც წარმოდგენილია მხატვრის სურათები, რომლებიც ნათელი მკვეთრი ფერებით ასახავენ ინდოეთის ბუნებასა და მის ხალხს.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა უსურვა ს. რერიხს შემდგომი შემოქმედებითი წარმატებანი და იმედი გამოთქვა, რომ მისი ნამუშევრების გამოფენა საბჭოთა კავშირშიც მოეწყობა.

დელი, 14 თებერვალი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები დელიდან ბჰილაიში გაფრინდნენ.

საპატიო საბჭოთა სტუმრის გასაცილებლად აეროდრომზე მოვიდნენ ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი ს. რადჰაკრიშნანი, პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ, ცენტრალური მთავრობის მინისტრები, პარლამენტის წევრები, დიპლომატიური კორპუსის მეთაურები, ინდოეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ინდოეთში სსრ კავშირის საელჩოსა და დელის სხვა საბჭოთა დაწესებულებების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

აეროდრომზე გამოჩნდა ღია ავტომანქანა, რომელშიც არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და ინდოეთის პრეზიდენტი რ. პრასადი.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის პატივსაცემად საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ალმებით მორთულ აეროდრომზე ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული, რომელიც წარმოადგენს ინდოეთის ჯარების სამ სახეობას: არმიას, ფლოტსა და ავიაციას.

ხრუშჩოვი გულთბილად ეთხოვება გამცილებლებს. საზეიმოდ ეღერს სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. მარშის ჰანგებში ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწყობრს და გაემართა თვითმფრინავისაკენ.

ნ. ს. ხრუშჩოვი გამოეთხოვა ინდოეთის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და სხვებს და მადლობა გადაუხადა მათ გულთბილი მიღებისათვის, რაც ინდოეთის დედაქალაქში გაუმართეს.

ნ. ს. ხრუშჩოვი ბჰილაიში

ბჰილაი, 14 თებერვალი. საკდესის სპეც. კორესპონდენტები ვ. კონდრაშოვი და ი. ტრუშინი იუწყებიან:

დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი, ბჰილაიში მომავალნი, რაიპურში ჩავიდნენ. რაიპურის აეროდრომზე ხრუშჩოვს შეხვდნენ მადჰია პრადეშის შტატის მთავარი ადმინისტრატორი ნარუნა, ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის გენერალური დირექტორი ნ. შრივასტავა, ქარხნის მთავარი ინჟინერი ნ. ვ. გოლდინი, ქარხნის ადმინისტრაციისა და შტატის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

რაიპურში ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლის აღსანიშნავად აღმართულია თაღები. თაღებს აწერია მისალმების სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. რაიპურის ათასობით მცხოვრები ჩამწკრივდა იმ გზის გაყოლებით, რომლითაც ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ბჰილაიში მიდიან. გაისმის ერთსულოვანი შეძახილები „ხრუშჩოვ ზინდაბად!“ „ნამასტე!“

მანქანები ძლივს იკვალავენ გზას ქალაქის ქუჩებში. ათასობით ხელი ერთსულოვნად აღიმართება ჰაერში: „ხრუშჩოვ ზინდაბად!“ „ხრუშჩოვ ზინდაბად!“ გაისმის შეძახილები რუსულ ენაზე: „გამარჯობა!“, „გამარჯობა!“.

თაღებზეა ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. ნერუს პორტრეტები.

რაიპურიდან ბჰილაიმდე ნ. ს. ხრუშჩოვს მხურვალედ მიესალმებიან ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი.

როგორც ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის გენერალურმა დირექტორმა ნ. შრივასტავამ განაცხადა, ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლა ბჰილაიში განსაკუთრებით დიდი და სასიხარულო მოვლენაა ქარხნის მთელი კოლექტივისათვის.

ბჰილაის ქარხნის ტერიტორიაზე შესასვლელთან ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდა ათასობით ადამიანი — ქარხნის მუშები, საბჭოთა და ინდოელი სპეციალისტები. საპატიო თაღზე წარწერაა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ამხანაგო ხრუშჩოვ!“

ბჰილაი, 14 თებერვალი. საკდესის სპეც. კორესპონდენტები ი. ტრუშინი და ვ. კონდრაშოვი იუწყებიან: ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, აგრეთვე მისმა თანმხლებმა პირებმა — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მიხაილოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ა. ჟუკოვმა, სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვმა და სხვებმა დაათვალიერეს ბჰილაის მეტალურგიული ქარხანა.

მთელ გზაზე რეზიდენციიდან ქარხნამდე ნ. ს. ხრუშჩოვს მხურვალედ მიესალმებოდა მეტალურგთა ქალაქის—ბჰილაინაგარის მრავალი ათასი მცხოვრები — საბჭოთა და ინდოელი სპეციალისტები, მათი ოჯახების წევრები.

ქარხანაში ნ. ს. ხრუშჩოვის მისვლის მომენტში ქარხნის ტერიტორიაზე გაისმა ქარხნის საყვირების, მრავალი ორთქლმავლისა და თბომავლის საყვირების ძლიერი ხმა.

საბრძმედე საამქრო. ქარხნის გენერალური დირექტორის ნ. შრივასტავას და მთავარი ინჟინრის ნ. ვ. გოლდინის თანხლებით ნ. ს. ხრუშჩოვი წავიდა სამსხმელო ეზოში. ათასობით მუშა, საბჭოთა და ინდოელი სპეციალისტები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ საპატიო სტუმარს. ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად ესაუბრება საამქროს მუშებს, ინჟინრებს. გენერალური დირექტორი ნ. შრივასტავა ამბობს, რომ ბჰილაის ქარხნის ორმა ბრძმედმა უკვე მისცა ინდოეთს 400 ათას ტონაზე მეტი სამამულო თუჯი. მალე, ამბობს იგი, მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი — მესამე მძლავრი ბრძმედი.

ამხანაგი ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები მიდიან მარტენის საამქროში, სადაც ამ დროს მიმდინარეობს ფოლადის ჩამოსხმა. ვახტზეა ორი მეფოლადე — საბჭოთა მეფოლადე ა. კუროჩკინი, რომელიც აქ ჩამოვიდა დნეპროპეტროვსკის პეტროვსკის სახელობის ქარხნიდან, და ინდოელი მეფოლადე პოპრეი, რომელმაც საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ ქარხნებში გაიარა პრაქტიკა.

ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად მიესალმა მათ, ესაუბრა მუშაობაზე და შემდგომი წარმატებები უსურვა. ერთ-ერთი ინჟინერი, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვს ახლავს საამქროში, ამბობს:

ჩვენ ძალიან კარგად შევეწყეთ საბჭოთა სპეციალისტებს. დაგვამეგობრა არა მარტო ერთად მუშამაბამ, არამედ ერთად დასვენებამაც სასპორტო მოედნებზე, კლუბში და სხვ.

ნ. ს. ხრუშჩოვი დაწვრილებით ეცნობა საგლინავი საამქროს — მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ამგვარი საწარმოს მუშაობას. როგორც ყველგან ქარხანაში, ამ საამქროს მუშებიც მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენელს. საამქროს ერთ-ერთმა მუშამ ჯაგათ შარმამ ჯერ კიდევ ნ. ს. ხრუშჩოვის მისვლამდე სიყვარულით დახატა საბჭოთა მთავრობის მეთაურის პორტრეტი. მან ეს პორტრეტი უჩვენა ნ. ს. ხრუშჩოვს და სთხოვა ავტოგრაფი.

კოქსქიმიურ საამქროსთან ნ. ს. ხრუშჩოვს უჩვენეს პროდუქციის ნიმუშები — კოქსი, ფისი, სასუქები, მარილმჟავა. ამხანაგმა ხრუშჩოვმა აღნიშნა კოქსის კარგი ხარისხი და ურჩია დირექტორ ნ. შრივასტავას უფრო ფართოდ გამოიყენოს კოქსქიმიური საამქროს შესაძლებლობანი თანაპროდუქტების საწარმოებლად. ამხანაგი ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ ქიმიას დიდი მომავალი აქვს.

ქარხნის დათვალიერების დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვი შეთბეჭდილებათა გაზიარებისას ამბობს: „კარგი ქარხანაა, აქვს თანამედროვე მოწყობილობა და წარმოების კარგად ორგანიზებული პროცესი“.

რესპუბლიკური თათბირი პარტიული პროპაგანდის საკითხებზე

15 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნების და იდეოლოგიურ დაწესებულებათა მუშაკების რესპუბლიკური თათბირი.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **პ. კოვანოვმა.**

მოხსენება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“ და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ი. დოლიძემ.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. გარდაფხაძემ**, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **დ. გოგოხიამ**, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ამხ. **ს. ჭილაიამ**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ლ. დავითაძემ**, საქართველოს სსრ კულტ

ლალი ლაგრაძე

შვიდწლედის ოლიმპიადა

ქალიშვილი მღერის

ზარივით წკრიალა ხმა დაშორებულ საამქროებშიც გარკვევით ისმის. ეს ამწყობი ქალიშვილი ლალი ლაგრაძე მღერის. როგორ არ ეცადა, რა არ იღონა მოხუცმა ზეინკალმა ონისიმემ, მაგრამ ამ ხმამ მაინც ყველგან მიაგნო. იგი პირდაპირ ყურში უწივის ონისიმეს, მოთმინებიდან გამოჰყავს.

— ხალხო გამაგებინეთ, აქ ქარხანაა თუ ოპერის თეატრი, — ბუზღუნებს ონისიმე.

არა, აქ ოპერა არ არის. აბრაზე მოთავსებულია წარწერა: „თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვები“.

და აი ამ საწარმოში საშუალო სკოლის მერხიდან მოვიდა ლალი ლაგრაძე. მან უკვე მონახა თავისი ადგილი ქარხნის დიდ კოლექტივში, ცხოვრებაში. განა დიდი ხნის წინათ იყო, რომ ქალიშვილებს გახედვაც არ უნდოდათ ქარხნებისაკენ, ეთაკილებოდათ ქარხანაში მუშაობა? აბა ახლა ნახეთ, რა ხალისით, გატაცებით ეკიდებიან საქმეს.

ლალი ლაგრაძე ელექტროგამშვებზე თბური რელეების კომუნიკაციებს აყენებს. ეს არ არის მძიმე საქმე, მაგრამ დიდ სისწრაფესა და დახელოვნებას მოითხოვს. ამ უბანზე ძნელია გეგმებს გადააჭარბო, თუ განსაკუთრებით არ ხარ გაწაფული, თუ პიანისტივით სწრაფად და თავისუფლად არ ამოძრავებ თითებს. ლალიმ დღეში ოთხმოცი ელექტროგამშვებზე უნდა დააყენოს თბური რელეების კომუნიკაციები, ხელმარჯვე ქალიშვილი კი ორას ელექტროგამშვებს თავისუფლად აწყობს.

მღერის ლალი. თითები მარდად დაცურავენ ელექტროგამშვების პატარა, მაგრამ რთულ ლაბირინთში, და კონვეიერიდან ჩამოდის ახალი და ახალი ელექტროგამშვებები.

მაგრამ ზოგჯერ მასალები არა აქვთ და ამწყობები ბრკოლდებიან. მაშინ უნდა ნახოთ ლალი!.. მხიარული, სახენათელი ქალიშვილი ერთბაშად შეიცვლება, თითქოს კამკამა ცაზე საავდრო ღრუბლები გაჩნდნენო. მოსვენებას არ აძლევს საამქროს უფროსს, ქარხნის დირექტორს.

— მასალები, მასალები მოგვაწოდეთ, ვცდებით!

შვიდწლედის ზღუდეებზე ლაშქრობაში ლალი ლაგრაძეს მხარდამხარ მიჰყვებიან მაყვალა მამუკელაშვილი და ლიანა გელაშვილი, რომლებიც ორმაგად ასრულებენ დღიურ დავალებებს.

— საქმე ყელამდეა, ვიმარჯვოთ, გოგოებო! — ამხნევებს ლალი მეგობრებს. ახალგაზრდები ხალისიან შრომაში ჭედენ მომავალს. ახლა აღარ ბუზღუნებს მოხუცი ზეინკალი ონისიმე, პირიქით, გახარებულია, რომ ასე მხიარულ, შრომისმოყვარე მემკვიდრეებს ტოვებს ქარხანაში.

ა. ხუბუა.

ლენინუკ

... ...

...ოთხ ჯილვ ეროი ძალოძილ...

დედას დაუგრუნდა შვილი—19 წლის შემდეგ

გვიამბოგენ ელენე და თამარ უჩიძეები

თამარ უჩიძე

ხაშურში, ქუთაისის ქუჩაზე № 5 პატარა ოდა-სახლში ცხოვრობს უჩიძეების ოჯახი. ამ ოჯახს ახლა ბევრი სტუმარი ჰყავს. მოდიან მეზობლები, მოდიან ნათესავები ახლო და შორეული რაიონებიდან, რათა მიულოცონ ელენე იოსების ასულ უჩიძეს 19 წლის წინათ დაკარგული შვილის პოვნა, ოჯახში მისი ბედნიერად დაბრუნება.

ამ სახიხარულო მოვლენის შესახებ „კომუნისტის“ 7 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი „შვილი დაუბრუნდა დედას — 19 წლის შემდეგ“. წერილმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში. ბევრ ოჯახს ჯერაც არ მოუშუშებია ომით მიყენებული ჭრილობები. ამიტომ არის, რომ ელენე უჩიძის ოჯახის სიხარულს ყველა გულწრფელად იზიარებს, ულოცავს ომის პირველ დღეებში დაკარგული პატარა თამრიკოს გამოჩენას 19 წლის შემდეგ, მის დაბრუნებას მშობელ დედასთან, დებთან, ძმასთან.

ჩვენი გაზეთის მკითხველები სთხოვენ რედაქციას უფრო დაწვრილებით მოგვითხროთ როგორ მოხდა პატარა თამრიკოს დაკარგვა, ვინ იყო ის კეთილშობილი ადამიანი, რომელმაც იგი იშვილა და აღზარდა, როგორ მიაგნო მშობლიური ოჯახის კვალს?!

ამ მიზნით ჩავედით ხაშურში, ვინახულეთ უჩიძეების ბედნიერი ოჯახი, ვესაუბრეთ ელენე იოსების ასულს, მის პირმშოს — თამარს...

აი მათ რა გვითხეს:

1.

ჩემი ქმარი, უფროსი ლეიტენანტი ივანე ალექსანდრეს-ძე უჩიძე — თქვა ელენემ, — კადრის ოფიცერი იყო. სამხედრო სამსახურს ეწეოდა ქ. ბრესტში. თითქმის ოთხი წელი გავატარეთ ამ ქალაქში, ბედნიერად ვცხოვრობდით, ოთხი შვილი გვყავდა, მათი სიყვარულით ვტკბებოდით. ვანოს ძლიერ უყვარდა შვილები. სამსახურიდან თავისუფალ დროს სულ სახლში, ბავშვებთან იყო, თამაშობდა, ქართულ ზღაპრებს უამბობდა. კვირადღეს კი ბავშვებთან ერთად მივდიოდით მახლობელ ბაღში სასეირნოდ.

შაბათს, 1941 წლის 21 ივნისს, ვანო ჩვეულებრივ დაბრუნდა ნაწილიდან სახლში. საღამოს შემდეგ ახალ გაზეთებს ჩაუჯდა, მაგრამ ბავშვებმა მოსვენება არ მისცეს. ყველაზე მეტად იური ცელქობდა, მამას ხან კისერზე ჩამოეკიდებოდა, ხან მუხლებზე შეაჯდებოდა „მოდი, მამა, ცხენობა ვითამაშოთო“. ვენერა და ორი წლის თამრიკო ერთად თამაშობდნენ, უცემ რაღაცაზე წაიჩხუბნენ. აცრემლებული თამრიკო მამასთან მივიდა და შეესჩივლა. ვანო მოეფერა მას, ხელში აიყვანა და ლოყებზე ჩამოცურებული ცრემლები კოცნით შეუშრო. მე კი ექვსი თვის ციხოს ძუძუს ვაჭმევდი. ბედნიერი ვიყავი.

— საქართველოდან წერილი ხომ არ მოსულა? — იკითხა ვანომ.

— არა!

— ნეტავ როგორ არიან ჩვენები, რატომ აგვიანებენ წერილს?

— შე კაი კაცო, თბილისში ხომ არა ვცხოვრობთ, რომ მეორე დღესვე მიიღოთ წერილი! — ცოტა არ იყოს საყვედურის კილოთი ვუპასუხე ქმარს, — მოლითიდან და ტეზრიდან ბარე ორი კვირა მაინც უნდა წერილის მოსვლას.

— იცი, ელენე, რაღაც ძალიან მომინდა საქართველოში წასვლა, ჩვენიანების ნახვა: შენც მეცოდები, როცა გიყურებ როგორ გიჭირს ოთხი ბავშვის მოვლა. ეს რომ ვიყოთ, ხან დედაშენი მოგხედავდა, ხან დედაჩემი. შეგიმსუბუქებდი შრომა.

ცისანას ჩასძინებოდა. ბავშვი ლოგინში ჩავაწვინე და სუფრის ალაგებას შეუდეგი.

საღამოს ვანო ნაწილში წავიდა. მებრძოლებს დავბინავებენ და მალე მოვალო, დაიბარა. წვრილშვილის დედა ვიყავი, ოჯახში საქმეს რა გამომილევდა! ბავშვები ერთმანეთთან თამაშობდნენ, მე კი სარეცხს მოვკიდე ხელი. ამ დროს ჩვენმა მეზობელმა მართა მიაგჩენკომ შემოაღო კარი, თან თავისი პატარა ვარვარა შემოიყვანა.

— საღამო მშვიდობისა, ელენე! — მომესალმა იგი, — აღარ მომასვენა ამ გოგომ, ვენერასთან წამიყვანეო. ხომ იცი, როგორი ჟინიანია?

— მობრძანდით, მართა, მობრძანდით! — ვთხოვე მართას, — ბავშვები ერთმანეთთან თამაშით გაერთობიან.

მართლაც, როგორც კი ვარვარა დაინახეს, ჩემი შვილები მისკენ გაქანდნენ.

მართას ქმარიც ჩემი მეუღლის ნაწილში მსახურობდა, იგი კაპიტანი იყო. როგორც მახსოვს, ბატალიონს მეთაურობდა. მას ძლიერ უყვარდა და პატივს სცემდა ვანოს. მეტად კარგი მეზობლობა გვქონდა, ჩვენც ხშირად გადავდიოდით მათ ოჯახში.

ბავშვების ძილის დრო რომ მოვიდა, მართა გამოემშვიდობა. მეც ბავშვების დაძინებას შევუდექი. ვანო ღამის 11 საათზე დაბრუნდა ნაწილიდან, ჩაი დავლიეთ და მოვი ს ვ ე ნ ე თ...

2.

ელენე ერთ ხანს შეჩერდა, ღრმა ფიქრებს მიეცა. შუბლი დაუნაოჭდა.

— წყეულიც იყოს ომი და მისი მომგონი! — ერთბაშად წამოიძახა და განაგრძო: — როგორ იყო? დიახ, 22 ივნისს გარიჟრაჟისას საშინელმა ქუქა-ქუხილმა აგვაფორიაქა. ზედიზედ გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა. ჩვენი ოთახის მინები ჩაიმსხვრა. წამოვცვივდით. ბავშვები აწიოკდნენ.

ვანომ ელვის სიხშირაფით ჩაიცვა ტანთ.

გარედან უკვე ისმოდა ადამიანების კვნესა და კივილი.

ამასობაში ნაწილიდან ჯარისკაცი მოვარდა, ვანოს აცნობა საბრძოლო განგაშია და სასწრაფოდ გიხმობენ პოლკშიო.

ხაწყალი ჩემი ქმარი... ოთახში დაბორიალობდა, არ იცოდა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. შიშისაგან და ტირილისაგან დაოსებული ბავშვები სათითაოდ ჩაიკრა გულში, მერე მე გადამეხვია და მითხრა:

— რაღაც უბედურებაა ჩვენს თავს, ელენე! გული გაიმაგრე, ქართველი დედა ხარ და აბა შენ იცი, ბავშვებს მოუარე, შენ გენაცვალე, გაუფრთხილდი მათ ხიცოცხლეს. მივირბენ ნაწილში, გავიგებ რაშია საქმე და მალე მოვბრუნდები...

ვანომ გაიხურა კარი... და იგი აღარ დაბრუნებულა...

დაიწყო დიდი სამამულო ომი.

სახლიდან გარეთ გამოსვლას ვერა ვბედავდი. ფანჯრიდან გავიხედე. ჩვენგან მოშორებით ორსართულიანი სახლი იწვოდა. ქუჩებში სასწრაფო დახმარების ავტომობილები დაჰქროდნენ. ჩემ ქმარს შებრძოლი გამოეგზავნა ბარათით:

„ჰიტლერელები თავს დაგვეხსნენ ომის გამოუცხადებლად. მივდივართ მეხაზღვრეების დასახმარებლად. ბავშვებს უპატრონე, ეცადე საქართველოში წახვიდე. მალე გავრეკავთ საზიზღარ ფაშისტებს და გამარჯვებული დავბრუნდებით. მოგწერ წერილებს დედაშენის მისამართით ტეზრეში. გიხუტებთ გულში ყველას და. გკოცნით...

შენი ვანო“.

მაშინ ვიგრძენი, რომ ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. უკაცოდ დარჩენილს მე უნდა მიმეხედა შვილებისათვის. აქ ტირილი არაფერს მიშველიდა. გამოვედი გარეთ ბავშვებიანად, მიეედი მართასთან. იგი თვალცრემლიანი დამხვდა. პატარა ვარვარა გულში ჰყავდა ჩაკრული.

ორივენი ბავშვებიანად წავედით შტაბში. იქ დაგვხვდა რამდენიმე ოფიცერი. მათ გაგვაფრთხილეს სასწრაფოდ მოემზადებულიყავით საევაკუაციოდ ღრმა ზურგში. ქალაქის დაბომბვა კვლავ გრძელდებოდა. ეზოში თხრილები გავაკეთეთ, იქ ვიფარებდით ბავშვებს. ხამოქალაქო მოსახლეობიდან მამაკაცები ჯარში გაიწვიეს. ქალები და ბავშვები კი, ვისაც როგორ შეეძლო, ქალაქიდან გაიხიზნენ.

ყოველდღე ახლოვდებოდა ქვემეხების ხროლის ხმა. დაიწყო სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების ევაკუაცია. გერმანელმა ფაშისტებმა ქალებითა და ბავშვებით სავსე რამდენიმე ეშელონი დაბომბეს, ვაგონები დაწვეს, რკინიგზა დაანგრიეს.

ერთ ბოხჩაში შეეკარი ბავშვების ტანისამოსი, რაც გამაჩნდა მშრალი საკვები და მართასთან ერთად წავედი ბავშვებიანად შესაკრებ პუნქტში, საიდანაც მანქანებით უნდა გავეგზავნეთ ზურგში...

შესაკრებ პუნქტში ზღვა ხალხი იყო. ძლივს ისმოდა მეთაურთა ბრძ. ჩამომდგარ მანქანებთან ახლოს მისვლა შეუძლებელი იყო. ნაცნობმა ოფიცერმა მომითითა ერთ მანქანაზე, თქვენი ბავშვებით იქ. ჩასხდებითო. ექვსი თვის ციხანა ხელში მყავდა აყვანილი. დანარჩენ სამს ერთმანეთისათვის ჩაეკვლოთ ხელი, მე კი ვენერას ჩავჭიდე ხელი და როგორც იყო მივაღწიე მანქანამდის. იქ მდგომი მებრძოლების დახმარებით ძლივს ავედი მანქანაში, მომაწოდეს ციხანა.

ამ დროს ქალაქის თავზე გამოჩნდნენ ფაშისტების ბომბდამშენები, აირია ყველაფერი. ბავშვი ვიღაცას მივაჩეჩე ხელში, ჩემი დანარჩენი პატარები მანქანასთან იდგნენ, გაპყვიროდნენ. მეც რაც ძალი და ღონე მქონდა გავკიოდი, ვემუდარებოდი იქ მდგომებს, მომაწოდეთ ბავშვები-მეთქი. ვენერა და იური სამხედრომ შემოაგდო მანქანაზე, ბავშვები ჩემს ფეხებთან გაინაბნენ. დაიწყო დაბომბვა, მანქანა გაიძრა. „თანრიკო, თამრიკო,.. შვილო თამრიკო. მომაწოდეთ ბავშვი. ბავშვი“... ვყვიროდი, მაგრამ უკვე გვიან იყო. მტვრის კორიანტელში გაეხვია ყველაფერი. არეულ ხალხში მართას მოვკარი თვალი, ენა წამერთვა. ესლა მახსოვს, ხელით რაღაც ვანიშნე მას და გრძნობა დავკარგე...

გონს მომიყვანა გამაყრუებელი აფეთქების ხმამ, თვალები გავახილე, გაშმაგებული წამოვვარდი, „ჩემი შვილები!“

— შეკივლე. „აქ არიან შენი შვილები“.

— გადმომლაპარაკა მოხუცმა დედაკაცმა. მას ხელში ეჭირა ჩემი ექვსი თვის ციხანა, ხოლო ვენერა და იური ჩახუტებოდნენ ერთმანეთს და მანქანის ძარის კუთხეში მიკუნქულიყვნენ. ბავშვები ჩემთან გადმოვსხი, ციხანა გულში ჩავიკარი. თამრიკო? ჩემი პატარა გოგო.., ის დავკარგე. გული სამუდამოდ დამეკოდა, ყურებში მესმოდა მისი ნამტირალევი ხმა: „დედიკო... დედა მინდა!..“

ბაერში გერმანელთა თვითმფრინავები დაჰქროდნენ, გზებს ბომბავდნენ, ლტოლვილებს ცეცხლს უშენდნენ. კვლავ აფეთქება. ჩვენს წინ ორას მეტრზე მიმავალი მანქანა გადაეირავდა, ცეცხლი წაეკიდა. ადამიანთა გულშემზარავი კვნესა გაისმა...

მივდიოდით შეუსვენებლივ, დღისით და ღამით, მანქანით და ეშელონით, ფეხით და ოთხთვალათი. სურსათი გაგვითავდა. ბავშვები პურს მოითხოვდნენ, მაგრამ სად მეშოვნა! უკმეხობისაგან მისუსტდნენ. მე რძე გამიშრა. პატარა ციხანა ხელიდან მეცლებოდა. ადამიანები ამომიდგნენ მხარში, მეც კი ვიცი საიდან მოჰქონდათ რძე ციხანასთვის. ბელორუსიაში ყანებს ცეცხლი ეკიდა, იწვოდა. გადავდიოდი ნაყანევში, ხორბლის დანახშირებულ მარცვალს ვაგროვებდი, იმას ვამეცადი ვენერას და იურის. მაგრამ როცა ამის საშუალებაც აღარ იყო, მაშინ ბალახებს ვგლეჯდი, მის ძირებს ვასუფთავებდი, ამით ვიკვებებოდით მეც და ბავშვებიც...

ეშელონთ სარატოვისაკენ მოვდიოდით. ღამით დაგვბომბეს, ეშელონი შუაზე გაწყდა, ნახევარი შემადგენლობა მასში მოთავსებული ადამიანებით დაიწვა. ჩვენ გადავრჩით, ორი კვირის შემდეგ ძლივს მივაღწიეთ სარატოვის ოლქის ყერნოვკის რაიონს.

აქედან ჩავედით ასტრახანში, ხოლო ასტრახანიდან კასპიის ზღვით ბაქომდე მივაღწიეთ. აქ მოგვცეს სურსათი, ჩაგვსვეს მატარებელში და გამოგვიცხადეს საქართველოში.

შვილებით ოთხი თვის ხაშინელი მგზავრობის შემდეგ, როგორც იყო, მივაღწიე ჩემს მშობლიურ სოფელ ტეზრამდე — დედაჩემთან.

— თამრიკო? ის რაღა უყავი, შვილო! — მკითხა აღელვებულმა დედამ.

რა უნდა მეთქვა, რით შემართლებინა თავი! ორივემ ტირილით მოვიოხეთ გული. ვტიროდით ჩემს საყვარელ თამრიკოს, პატარა გოგონას, რომელსაც თავისი ტიკტიკით სიხარული შეჰქონდა ჩვენს ოჯახში. 28 წლის ქალი გავქალაღავდი, ბავშვის დაკარგვამ გული სამუდამოდ დამითუთქა. „აბა შენ იცი, როგორც მოუვლი შვილებს!“ — მახსენებდა ვანოს სიტყვები და ბოლმა მაწვებოდა ყელში: „ვაი, რომ ვერ შევასრულე, ვანო, შენი თხოვნა-მეთქი“.

დედაჩემთან დამხვდა ვანოს წერილი. იგი მატყობინებდა: მძიმე ბრძოლები გვაქვს, მაგრად ვურტყამთ გერმანელ ფაშისტებს. მალე საბოლოოდ გავანადგურებთ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. მე უკვე კაპიტნის წოდება მივიღე, სახლში ალბათ მაიორი დაგბრუნდებიო...

შევეგუე იმ აზრს, რომ თამრიკო დამედუპა, თუ შეიძლება რომ დედა შვილს დაკარგვას შეეგუოს. მთელი გულისყური დარჩენილი შვილების აღზრდაზე გადავიტანე. ჩავედი ხაშურში, დახმარებისათვის მივმართე სამხედრო კომისარიატს. დამეხმარნენ. მომცეს პატარა ბინა. რკინიგზის სადგურში მოვეწყე მუშად. ვშრომობდი, მთავრობა დახმარებას მაძლევდა და შვილებს. ვზრდიდი. ომი იყო, და ყველას უნდა გაეძნარია ხელი. არ ვითაკილე მძიმე შრომა. ხოლო შემდეგ კონდუქტორთა მარკაჟის სასადილოში გადავედი დამლაგებლად, სადაც ახლაც ვმუშაობ.

ასე, პატიოსანი შრომით დავზარდე შვილები. ჩემი უფროსი ქალიშვილი ვენერა რუსთავში პოლიკლინიკაში მუშაობს ექთანად, იურიმ შვიდწლეული დამოვარების შემდეგ საშოფრო სკოლის მოგვიდა ხელი და მძღოლად მუშაობს ხაშურის ავტოსატრანსპორტო კანტორაში. ცისანა ხაშურის მე-13 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეა...

ჩემი დიდი ბედნიერების ამბავი კი უკვე იცით. ჩემი პატარა გოგო, ჩემი დაკარგული თამრიკო 19 წლის შემდეგ დამიბრუნდა. ყველა დედას ვუსურვებ ასეთ ბედნიერებას, დაკარგული შვილის დაბრუნებას...

როგორ მოხდა ეს?

3.

ახლა დადგენილია, რომ როცა ელენე უჩიძეს ევაკუაციის დროს პატარა თამრი ბრესტში დაეკარგა, ატირებული ბავშვი ჯარისკაცმა აიყვანა ხელში და ზღვა ხალხს გაარიდა. მორიგე ოფიცერმა ჯარისკაცს უბრძანა ბავშვი რომელიმე მანქანაში ვინმესთვის მიებარებინა და დაუყოვნებლივ გაეგზავნა ზურგში. ჯარისკაცმა თამრიკო სწორედ იმ მანქანასთან მიიყვანა, რომელშიც მართა ტიხონის ასული მიაგჩენკო იჯდა თავის ვარვარასთან ერთად.

— მომაწოდეთ, ეგ ჩემი შვილია! — როგორც დაინახა თამარი, გადმოსძახა მართამ მებრძოლს.

სურათზე: დედა და შვილები (მარცხნიდან) ცისანა, ელენე და თამარ უჩიძეები. ფოტო ვ. გინზბურგისა.

* * *

1952 წელს თავს დამატყდა დიდი უბედურება, მართა დედა გარდაიცვალა. დავობლდი. მაგრამ ობლობა არ მიგრძვნია, თავისთან გადამიყვანა დედა მარიამმა — მართა დედას დამ. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ მოვეწყე კურსის სავაჭრო ტექნიკუმში, რომელიც 1957 წელს დავამთავრე და სასურსათო საქონლისმცოდნის წოდება მივიღე. სამუშაოდ გამგზავნეს სმოლენსკში. იქ ვმუშაობდი ერთ-ერთ მაღაზიაში, ამასთან ერთად ვიყავი კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

— როგორ გიგიეთ, რომ საქართველოში გაუვდათ ნამდვილი დედა, დები და ძმა? — შეეკითხეთ თამარს.

— ჯერ კიდევ ტექნიკუმში სწავლის დროს დედა მარიამის დახმარებით ადგილობრივ სამხედრო კომისარიატში შევიტანე განცხადება დამხმარებოდნენ მამაჩემის ბედის გარკვევაში. კარგა ხნის შემდეგ კომისარიატიდან მაცნობეს, კაპიტანი ივანე ალექსანდრეს-ძე უჩიძე 1941 წელს ფრონტზე უგზოუკვლოდ დაიკარგაო.

ჩემმა მეგობრებმა მირჩიეს, მამაშენს საქართველოში ალბათ და-ძმები, ნათესავები ეყოლება, მოძებნე ისინიო. მეგობრების რჩევას დავუჯერე, ისევ ადგილობრივ სამხედრო კომისარიატს მივმართე დახმარებისათვის, ვთხოვე შეკითხვა გაეგზავნათ საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატში, არის თუ არა კაპიტან ივანე უჩიძის ოჯახიდან ვინმე ცოცხალი. ეს თხოვნაც შემისრულეს. არ გაუვლია დიდ ხანს, რომ საქართველოდან ამალელვებელი, სასიხარულო ცნობა მივიღე...

4.

ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ სმოლენსკიდან ხაშურში, ელენე უჩიძის სახელზე მოვიდა წერილი: „ამ წერილს გწერთ სმოლენსკიდან თქვენი უცნობი შვილი თამარი. ამბა მთავრობისა, იმ კეთილშობილი ადამიანებისა, რომლებმაც ომ საშინელ დღეებში დაკარგული ჩემი პატარა თამრიკო უპატრონოდ არ დატოვეს, მადლობელი ვარ რუსი ქალისა, რომელმაც იშვილა უთვისტომოდ დარჩენილი ბავშვი და მას დედობა გაუწია, მადლობელი ვარ ჩვენი საბჭოთა ადამიანებისა, რომლებმაც ჩემს თამარს მზრუნველობა გაუწიეს, აღზარდეს, ასწავლეს და ცხოვრებაში გამოიყვანეს, თავის ოჯახს დაუბრუნეს...

5.

ძვირფასო მკითხველო! ეს ნამდვილი ამბავი სრული არ იქნება, თუ ორიოდე სიტყვა არა ვთქვით ადამიანებზე, რომლებმაც გულითადად გიზიარეს ელენე უჩიძის ოჯახის უსაზღვრო სიხარული.

ჩვენი იქ ყოფნის დროს ფოსტალიონმა წერილებით სავსე ჩანთა მოიტანა და მაგიდაზე ჩამოცალა. ამდენი წერილი ჩემს სიცოცხლეში არც ერთ ოჯახში არ მიმიტანიაო, — თქვა მან. 50-ზე მეტი წერილი და 20-მდე დეპეშა აღმოჩნდა: თბილისიდან და ქუთაისიდან, წითელწყაროდან, ზუგდიდიდან, აბაშიდან, ზესტაფონიდან, ორჯონიკიძიდან, დუშეთიდან, გორიდან, ახალციხიდან, მაიაკოვსკიდან, გალიდან... ყველას ვერ ჩამოთვლი, აი ზოგიერთი მათგანი:

„ხაშური, ქუთაისის ქუჩა № 5, ელენე უჩიძეს. წავიკითხეთ 7 თებერვლის „კომუნისტში“ წერილი „შვილი დაუბრუნდა დედას — 19 წლის შემდეგ“, უსაზღვრო სიხარულს გამოვთქვამთ 19 წლის დაკარგული თამარის საქართველოში დედასთან დაბრუნების გამო. ყოფილიყავით ყოველთვის გახარებული შვილისაგან. წითელწყაროდან — ზინა დათუკაშვილი, რუსუდან ბიკაშვილი, დარეჯან პოპიაშვილი, რიმა მერაბოვი“.

„თბილისიდან. ცისანა უჩიძეს. რა ბედნიერება იქნებოდით, როდესაც მიიღებდით დაიკო თამარის წერილს და უფრო ბედნიერი კი მაშინ, როცა მე-11 ვაგონის კარებს გადმოდგებოდა თამარი საკუთარი დებისა, ძმისა და დედის „საცნობად“. ვიზიარებთ თქვენს სიხარულს. გურამ გოგიშვილი“.

„ცისანა უჩიძეს. ჩვენთვის უცნობო ამხ. ცისანა! „კომუნისტში“ დაბეჭდილმა წერილმა თქვენი დაკარგული დის გამოჩენის შესახებ აღგვაფრთოვანა. გვსურს მოგილოცოთ დის დაბრუნება. ბიათურის აღმდგენი მატარებლის მუშა უჩა მაჩიტიძე“.

„ძვირფას ელენე დედას. ვხარობთ თქვენთან ერთად თამრიკოს დაბრუნებით. ვუსურვებთ მას, თუ გაუთხოვარია, დიდ ბედნიერებას, იმაზე მეტს, რაც მან 28 იანვარს განიცადა თქვენი ნახვით. ვუსურვებთ ყველა დედას ისეთი ბედნიერი ყოფილიყოს, როგორც თქვენ ამ დღეებში. მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მუშები ჯანიკო ვეფხვაძე, მერი და მარო პაქსაშვილები, მარგალიტა ბუხნიკაშვილი“.

„სალამი უცნობ დედა ელენეს! „კომუნისტში“ წავიკითხეთ თქვენი დაკარგული შვილის თამარის პოვნის ამაღელვებელი ამბავი. უდიდესი თანაგრძნობით გავიზიარეთ თქვენი სიხარული და ბედნიერება. მე თვითონაც ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედა ვარ და ნამოდგენილი მაქვს, რა სულიერ ტანჯვას განიცდიდით ამ 19 წლის მანძილზე შვილის დაკარგვით... ჩემი ოჯახის ყველა წევრის სახელით ვილოცავთ 1960 წელს, ბედნიერ წელს, დაკარგული შვილის დაბრუნების წელს. გისურვებთ ბედნიერ დედობას. პატივისცემით ნათელა ზარდიაშვილი, სოფელი კალაური, გურჯაანის რაიონი“.

„უცნობ დაიკო ცისანას! ნუ გაგიკვირდება და ნუ დამძრახავ, რომ უცნობი გწერ წერილს. ყველაფერი ეს „კომუნისტში“ თქვენი დის შესახებ წერილის წაკითხვის შემდეგ სიხარულმა გამაბედვინა. დაო ცისანა, მეც მამა დიდ სამამულო ომში დამეფუტა. ისევე როგორც თქვენ, მეც ომმა დამტოვა მამით ობლად, აღვიზარდე 9 თვის ბავშვი მარტოხელა დედის ხელში სამი წლის ერთადერთ ძმასთან ერთად. ამჟამად კი ვსწავლობ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში I კურსზე... გადაეცი ჩემი გულთბილი მილოცვა თქვენი ოჯახის წევრებს... მანუჩა გოგუა“.

„დეიდა ელენე! ჩვენი უბნის მცხოვრებთა სახელით გილოცავთ 19 წლის დაკარგული შვილის შვიდობით დაბრუნებას და ვიზიარებთ თქვენს სიხარულს. დიდ მადლობას ვუძღვნით ამ ადამიანს, რუს ქალს, რომელმაც თქვენს თამარს მარტოობა არ აგრძნობინა და მშობლიური მზრუნველობით აღზარდა. დიდი მადლობა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის მუშაკებს და ყველა კეთილ ადამიანს თამარის მომართ გულისხმიერების გამოჩენისათვის. თამარის დაბრუნებით გახარებული, თქვენთვის უცნობი ლია ხვედელიძე. სოფელი სპეთი, ხაჩხერის რაიონი“...

ძნელია ყველა წერილის უბრალოდ ჩამოთვლაც. მათი ნაკადი კი გაუთავებლად გრძელდება...

* * *

— როგორია თქვენი ცხოვრების პერსპექტივები? — გამომშვიდობებისას შევეკითხეთ თამარს.

თამარმ, დედას შეხედა და თქვა: — ამიერიდან ჩემს დედას, დებს და ძმას აღარ მოვშორდები. მუშაობას დავიწყებ, დედას შევეშველები. მან უნდა გაიხაროს ჩვენით.

ბედნიერად მოეწყოს თავისი ცხოვრება თამარს, უჩიძეების ოჯახს, — ასეთია ყველას სურვილი.

ა. კოკილაშვილი.

ხაშური, თებერვალი.

რასა იტყვით თქვენ!

მსჯელობა რწმუნებულთა კრებაზე

ბევრი საგულისხმო ცვლილებანი ხდება სოფელ. განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება კოლმეურნეობათა ეკონომიკა. საზოგადოებრივი შრომა მილიონთა სიამაყის, გმირობისა და სიკეთის საქმედ იქცა.

კოლმეურნეობის საერთო კრება ძლიერია არტელის წესდების დამოწმებულთა წინაშე. მაგრამ ყოველთვის როდი ხერხდება საერთო კრების მოწვევა. იგი დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით ახლა, როცა კოლმეურნეობები საკმაოდ გამსხვილდა.

სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობაში არტელის წესდების დამოწმებულთა წინაშე საბრძოლველად მთელი ძალით აამოძრავეს კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრება. უბნებსა და საწარმოო ბრიგადებში აირჩიეს 60-მდე რწმუნებული. ახალი წესდების მიღებამდე ერედველები ადამიანებს, რომლებიც შრომის დისციპლინას არღვევდნენ და უწესრიგობა შეჰქონდათ წარმოებაში, სახალხო სასამართლოს გადასცემდნენ ხოლმე. მაგრამ გადიოდა თვეები, ხშირად წლებიც, საქმის გარჩევა დაუშვებლად ქიანურდებოდა, ეღირსები არხეინად გრძნობდნენ თავს, და თუ ვინმეს სახალხო სასამართლო დასჯიდა, მისთვის იოლი სასჯელი შემაწუხებელი როდი იყო. ზარმაცებს საზოგადოების წინაშე გაწითლება, შერცხვენა არ ელოდათ.

და აი ამოქმედდა რწმუნებულთა კრება. მის მოწვევას დიდი დრო არ დასჭირდა. უბნებში ბრიგადირებს შეატყობინეს, და რწმუნებულები კრების ადგილზე გამოცხადდნენ.

კრების წინაშე დარცხვენილი წარსდგა კოლმეურნე ნათელა ბერეშვილი, რომელმაც 1958 წელს მხოლოდ 22 შრომადღე გამოიმუშავა. ადრე ბრიგადირთან ნათელა თავის მართლებას შეუდგებოდა ხოლმე. ახლა კრებას მრავალი კოლმეურნე ესწრება. თვითეულმა მათგანმა იცის, რომ ნათელა ზარმაცობს. ნათელა ტყუილის თქმას ვერ ბედავს, ბოდიშს იხდის საზოგადოების წინაშე და მოითხოვს ფერმაში გაგზავნონ სამუშაოდ, რომ საქმით გამოისყიდოს დანაშაული.

კრებამ გაფრთხილა და ნება დართო ფერმაში იმუშაოს. შრომობდა კოლმეურნე ქალი დაუღალავად, სანიმუშოდ უელდა ძროხებს, მოწინავეებთან შეჯიბრებაში ჩაება. 1959 წელს 300 შრომადღე გამოიმუშავა, საფურაჟე ძროხაზე 2.000 ლიტრი რძე მიიღო. ნათელა ფერმის მოწინავე მწველავი გახდა. ასეთია საერთო აზრის ძალა.

ამ აზრმა იმოქმედა კოლმეურნე ვენერა ბორცვაძეზეც. 1958 წელს ვენერამ მხოლოდ 2 დღეს იმუშავა საკოლმეურნეო მინდორზე, თვეებს უსაქმურად ატარებდა. სწყინდათ ვენერას ასეთი მოქმედება თანასოფელელს. სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი ყაცრად გაკიცხეს რწმუნებულთა კრებაზე. დამსწრენი მოითხოვდნენ შრომის ფურცელში ჩამდგარიყო ვენერა... კრებამ საყვედური გამოუტანა ვენერას. ამ გარემოებამ მასზე დიდად იმოქმედა. ვენერა საკოლმეურნეო მინდორზე გავიდა და მხარში ამოუდგა ამხანაგებს. მალე მან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი გამოიმუშავა. რწმუნებულთა კრებამ სწორ გზაზე დააყენა გზას აცდენილი კოლმეურნე.

ასევე დადებითად იმოქმედა რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებამ მ. ბეკოევასა და მ. ვახტანგაშვილზე. ერთ დროს ზარმაცი და გამოუსწორებელი კოლმეურნეები მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ და დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

რწმუნებულთა კრება ფართო მუშაობას ეწეოდა. იგი სჯის, შრომადღეებით აჯარიმებს ზარმაცებს, თაღლითებს. მაგრამ გამოსწორების საშუალებას აძლევს მათ. არტელის წესდების თანახმად, დაჯარიმებულებს, თუ კი ისინი შრომით გამოისყიდიან დანაშაულს, წლის ბოლოს ჯარიმა ან სასჯელი ეხსნებათ.

თანდათან, დღითიდღე, ძლიერი ხდება რწმუნებულთა კრების გავლენა. ყოველდღიურმა ცხოვრებამ დაამტკიცა ამ კრების დიდი მნიშვნელობა. ერედვში რწმუნებულთა კრება ხშირად სოფლისთვის მეტად საჭირბოროტო საკითხებს წყვეტს. კრებამ იმსჯელა ზარმაცი კოლმეურნეების შესახებ, მაგრამ გამოირკვა, რომ აუცილებელია კოლმეურნეთათვის გაიხსნას სასადილო, კოლმეურნე ქალები, ხშირად საოჯახო საქმეებით დატვირთულნი, ვერ მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო შრომაში. გადაწყდა სოფლის ცენტრში დაიწყოს სასადილოს მშენებლობა. წელს ერედველი კოლმეურნეები შრომადღეების ანგარიშში სასადილოდან მიიღებენ ცხელ კერძებს. ამით ბევრი კოლმეურნე ქალი გათავისუფლდება საოჯახო საქმისაგან და შრომის საერთო ფურცულში ჩაებმება.

რწმუნებულთა კრების დადგენილებით გაფართოვდა საბავშვო ბაღი, გაიხსნა საბავშვო ბაღი. ერედველი ბავშვები გარემოცული არიან მზრუნველობით. მათი მშობლები კი საკოლმეურნეო უბნებზე ახალ წარმატებებს აღწევენ.

— რწმუნებულთა კრება, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ქრისტესიაშვილი, — უფრო შინაარსიანს გახდის თავის მუშაობას. საზოგადოებრივი აზრის ძალა კოლმეურნეთა კეთილდღეობის სამსახურში ჩადგა.

ი. თედიაშვილი.

საკდესის განცხადება

საჰარაში საფრანგეთის ატომური ბომბის აფეთქებასთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი.

საბჭოთა კავშირის პოზიცია ატომგულის იარაღის აფეთქებათა საკითხზე კარგად არის ცნობილი. სსრ კავშირს არაერთხელ მოუთხოვია ატომგულის იარაღის ყოველგვარი გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტა. საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ცდილობს გაადვილოს და დაჩქაროს ატომგულის იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მიღწევა, 1959 წლის 29 აგვისტოს ცალმხრივი წესით მიიღო გადაწყვეტილება არ განაახლოს ატომგულის იარაღის აფეთქება, თუ დასავლეთის სახელმწიფოები არ განაახლებენ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდას.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიაზე 1959 წლის 20 ნოემბერს მიღებულ იქნა აფრიკისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ინიციატივით შეტანილი რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს საფრანგეთს თავი შეიკავოს საჰარაში ატომური იარაღის გამოცდის განხორციელებისაგან.

ამასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია სინანული არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობამ არ გაუწია ანგარიში მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრს და 13 თებერვალს მოახდინა ატომური ბომბის აფეთქება. საბჭოთა კავშირში მიიჩნიათ, რომ ატომგულის იარაღის ყოველმა ახალმა აფეთქებამ, სადაც უნდა მოხდეს იგი, არ შეიძლება არ გაართულოს თანამედროვეობის მთავარი პრობლემის — საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრა, იგი ხელსაყრელია იმ ძალებისათვის, რომლებიც მოითხოვენ გაგრძელდეს გამლეტელი ატომური შეიარაღება. თუ ატომგულის იარაღის აფეთქება გაგრძელდა, ცხადია, საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია გვერდი აუაროს ამას და არ გააკეთოს შესაბამისი დასკვნები თავისი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა კავშირი კვლავაც აწარმოებს ბრძოლას ყველა ატომური იარაღის გამოცდის მალე და სრული შეწყვეტისათვის, ასეთი გამოცდების სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების დადებისათვის.

ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ინდონეზიის ხალხებისათვის 1960 წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია. ინდონეზია ემზადება იმისათვის, რომ აგვისტოში აღნიშნოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-15 წლისთავი. საბჭოთა ისტორიკოსები — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლები ამ თარიღისათვის ამზადებენ მთელ რიგ ნაშრომებს, რომლებშიც ანალიზს უკეთებენ ინდონეზიაში მომხდარ ეკონომიურ და პოლიტიკურ გარდაქმნებს.

გამოცემათა შორის, რომლებიც მზადდება გამოსაქვეყნებლად, არის სტატიების კრებული „ინდონეზიის რესპუბლიკა", რომელიც გამოვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. გუბერის სარედაქციოთ. მალე დამთავრდება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ო. ზაბოზლაევას ნაშრომი „ინდონეზიის უახლესი ისტორიის ნარკვევები".

წლის განმავლობაში გამოვა რამდენიმე მონოგრაფია, მიძღვნილი ინდონეზიის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდების ისტორიისადმი.

ავტორთა კოლექტივი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. სერდიუჩენკოს ხელმძღვანელობით ამთავრებს მუშაობას „ინდონეზიური ენის გრამატიკის" პირველ რუსულ გამოცემაზე. სერიაში „აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურული ძეგლები" პირველად გამოვა რუსულ ენაზე კლასიკური მალაიური პროზის ნაწარმოები „ხანგ ტუახი". (საკდესი).

ᲣᲝᲚᲢᲔᲠ ᲜᲔᲨᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

აზრთა გაზიარების შედეგად, რაც 1959 წელს მოხდა, მიღწეულ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირში ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრის უოლტერ ნეშის ოფიციალური ვიზიტის შესახებ.

საბჭოთა მთავრობის მოწვევით პრემიერ-მინისტრი ნეში მოსკოვს ჩამოვა 1960 წლის 18 აპრილს და საბჭოთა კავშირში გაატარებს ერთ კვირას.

ᲣᲙᲚᲔᲕᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲛᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

ორი დიდი ხალხის — საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევ მეგობრობას მიეძღვნა რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც გაიმართა 13 თებერვალს. კრება მოიწვიეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელის მოწერის ათი წლისთავთან დაკავშირებით.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ.

მოხსენება სახელოვანი წლისთავის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიცე-პრეზიდენტმა რ. დვალმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებამ ულღვევი და სამარადისო ძმობით შეაკავშირა ჩვენი ქვეყნები.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ დიად გამარჯვებებზე, რომლებიც საბჭოთა და ჩინელმა ხალხებმა მოიპოვეს. ორი ხალხის მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა აადვილებს და აჩქარებს მათი წინსვლის ტემპს.

კრებაზე გამოვიდნენ კვრამიკის კომბინატის მუშა პ. იუროვი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გ. კვარაცხელია, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი მ. ხანი, პოეტი ალიო მირცხულავა-მაშაშვილი.

უკვე რამდენიმე კვირაა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმება უ. შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი" (დადგმული რეჟისორი დ. ალექსიძე, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, კომპოზიტორი ა. ჩიმაკაძე). **სურათზე:** სცენა სპექტაკლიდან (მარცხნიდან მარჯვნივ): კლავდიუსი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე, ჰორტრუდა — რესპ. დამს. არტისტი ნ. ლაფაჩი, ოფელია — რესპ. დამს. არტისტი მ. ჩაბავა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

Ა. Ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲙᲣᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲘᲜᲠᲐᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ

ჰავანა, 14 თებერვალი. (საკდესი). ა. ი. მიქოიანმა უპასუხა ჟურნალ „ინრას" რედაქციის კითხვებზე.

კითხვა: ჰქონდა თუ არა სასიკეთო გავლენა შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე საბჭოთა გამოფენას ნიუ-იორკში?

პასუხი: არც შეერთებულ შტატებში, არც ჩვენს ქვეყანაში ეჭვს არ იწვევს ის, რომ საბჭოთა გამოფენას ნიუ-იორკში „წარმატება ჰქონდა და სარგებლობა მოიტანა. გამოფენების გაცვლა, ისევე როგორც სახელმწიფოთა ურთიერთობის სხვა ფორმები, აახლოებს ხალხებს. როცა ჩვენ „ინრას" ეწვეთ, ძალიან კარგად და მოსწრებულად თქვა ნუნიეს ხიგემესმა: „ასტრონომიის კანონების მიხედვით ჩვენ ვერ დავინახავთ დედამიწიდან მთვარის მეორე მხარეს, მაგრამ ცუდია, რომ ხელს გვიშლიდნენ დაგვენახა დედამიწის მეორე მხარე. არ არის რამე კანონი, რომელიც ნება არ მოგვცეს ვიცნობდეთ დედამიწის მეორე მხარეს". შეერთებულ შტატებში ძალიან ცოტა რამ იცოდნენ საბჭოთა კავშირის შესახებ, და გამოფენის მნიშვნელობა ის იყო, რომ მან თქვა სიმართლე საბჭოთა კავშირზე და, როგორც გამოფენის ბევრმა მნახველმა აღნიშნა, გამოფენამ თვალი აუხილა მათ და დაანახვა საბჭოთა სინამდვილე, დაეხმარა მოეხსნათ ყალბი პროპაგანდის საბურველი. გამოფენის მნიშვნელობა შემდეგ ის იყო, რომ მან დაანახვა ამერიკის შეერთებული შტატების საქმიან ადამიანთა მნიშვნელოვან წრეს, რომ შესაძლებელია და, უფრო მეტიც, საჭიროა სავაჭრო ურთიერთობა გაფართოვდეს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გამოფენის შემდეგ გახშირდა ბიზნესმენთა მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი საქმიანი ადამიანებისა — ამერიკის შეერთებულ შტატებში; ამერიკის შეერთებული შტატების მეწარმეებმა და კომერსანტებმა გააძლიერეს ზეგავლენა თავიანთ მთავრობაზე, მოითხოვენ ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა დამყარდეს სოციალისტურ ქვეყნებთან. და, მართალია, განა აღარ კმარა მსხვერპლის შეწირვა „ცივი ომის" ღვთისათვის! განა დრო არ არის ბოლო მოეღოს ყოველად ხელოვნურს საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვას, რასაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს არავისათვის!

კითხვა: როგორია კუბისა და სსრ კავშირის სავაჭრო ურთიერთობის პერსპექტივები?

პასუხი: მე პირადად მგონია, რომ საამისოდ საკმარისად არის კარგი პერსპექტივები. დღემდე ვაჭრობას ჩვენს ქვეყნებს შორის ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა. ჩვენ კუბისგან ვყიდულობდით გარკვეული რაოდენობის შაქარს. კუბა კი არ ყიდულობდა საბჭოთა საქონელს. ჩვენი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები ჯერ კიდევ სულ ცუდად იცნობენ ერთმანეთს. თუ ჩვენ უკეთ შევისწავლით ერთიმეორის შესაძლებლობას, როგორც მე მგონია, შეიძლება გაფართოვდეს კუბის იმ საქონლის ასორტიმენტი, რომელსაც ჩვენ ვყიდულობთ, ხოლო კუბისათვის სასარგებლო აღმოჩნდება ბევრი რამ საბჭოთა კავშირის ფრიად ფართო საეკსპორტო ნომენკლატურიდან. განვითარების ასეთ მიმართულებას უეჭველად შეუწყობს ხელს საბჭოთა გამოფენა ჰავანაში, რომელიც ესოდენ კარგად მიიღო ცოდნისმოყვარე და სტუმართმოყვარე კუბელმა ხალხმა.

კითხვა: კუბა საზღვარგარეთიდან შუდმივი აგრესიის ობიექტია. როგორ გამოეხმაურებოდნენ შეიარაღებულ აგრესიას ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს ის ხალხები, რომლებიც მშვიდობიანი თანაარსებობისათვის იბრძვიან?

პასუხი: თუ პრობაგანდისტული თავდასხმები კუბაზე მშვიდობიანი თანაარსებობისათვის მებრძოლი ხალხების მრისხანე პროტესტს იწვევენ, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რაოდენ ძლიერი იქნება გამომპაურება, თუ შეიარაღებული ინტერვენცია მოახდინეს კუბაში. არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა პატარა ერებს მოურიდებლად ჩაგრავდნენ. ახლა ყოველ, თუნდაც ყველაზე მცირერიცხოვან ერს, უკვე აქვს სრულიად სხვა შესაძლებლობანი თავისი დამოუკიდებლობისათვის საბრძოველად, რადგან მას ზურგს უმაგრებენ სხვა თავისუფალი ხალხების მძლავრი ძალები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა სამი ათეული სუვერენული სახელმწიფო იმ სახელმწიფოთაგან, რომლებიც მანამდე კოლონიური და დამოკიდებული იყვნენ, იმპერიალიზმის ზურგს წარმოადგენდნენ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დაწყებული 1960 წელი. გარდა კამერუნისა, რომელიც წელს უკვე გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა, მიმდინარე წელს კოლონიები ადარ არიან ტოგო, ბელგიის კონგო, სომალი და ნიგერია. 140 მილიონ ადამიანთაგან, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიურ უღელქვეშ იმყოფებიან, 55-მილიონი პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიიღებს წელს. და ეს, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავს, რომ კეთილი გახდნენ კოლონიური სახელმწიფოები. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხთა გამარჯვება ემყარება მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების მძლავრ მხარდაჭერას.

სულ უფრო ფართოდ ვითარდება იმ ხალხთა მეგობრობა, რომელნიც პოლიტიკურად დამოუკიდებელი არიან, მაგრამ ჯერ კიდევ ეკონომიურად დამოკიდებული არიან იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე, და, რასაკვირველია, ყველა იმ ხალხის სიმპათიები, რომლებმაც თავიანთი თავისუფლება დაიცვეს, იმათ მხარეზეა, ვინც იბრძის სრული დამოუკიდებლობისათვის, იმისათვის, რომ ხალხს მოუპოვოს უკეთესი ცხოვრება. მსოფლიოს ფიზიკურ რუკაზე კუბა შედარებით მიწის პატარა ნაკვეთია, რომელსაც გარს არტყია ზღვები. იმ ხალხთა ოჯახში, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობას, მეგობრობასა და პროგრესს, კუბა სულაც არ არის კუნძული, და კუბელი ხალხის მისწრაფება ბევრისთვის მახლობელი და გასაგებია.

კითხვა: რა აზრისა ხართ კუბის რევოლუციის განვითარების შესახებ?

პასუხი: საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს კუბის რევოლუციას. ძნელია ვთქვათ უფრო კარგად, ვიდრე თქვა თქვენმა პრემიერ-მინისტრმა დოქტორმა ფიდელ კასტრომ: „რეოლუციის მიზანია ფეხვების ადამიანებისა". ეს ასეთი ფრაზა ზერელე გასხელა, რომლის შემდეგაც კვლავ ჩნდება ცუდი ყლორტები".



ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

დელი, 15 თებერვალი. (საკდესი). 13 თებერვალს ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ნ. პილიმ დარბაზობა გამართა საბჭოთა ჟურნალისტების პატივსაცემად, რომლებიც ინდოეთში ჩამოვიდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის გასაშუქებლად. დარბაზობას დაესწრნენ ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ა. სატიუკოვი, ა. ი. აჯუბი, მ. ა. ხარლამოვი, ბ. ს. ბურკოვი, ი. პ. ვორონოვი და სხვები.

საბჭოთა ჟურნალისტებს მეგობრული საუბარი ჰქონდათ პრემიერ-მინისტრ ნერუსთან, რომელიც დარბაზობაზე მიგიდა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲙᲣᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ჰავანა, 14 თებერვალი. (საკდესი). ჰავანაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ანასტას მიკოიანმა და კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივ კომუნიკეს.

საუბრების მსვლელობაში, ნათქვამია კომუნიკეში, რომლებიც წრფელი გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, გამოთქმულია ორივე მთავრობის მუდმივი მისწრაფება განახორციელონ აქტიური ერთობლივი საქმიანობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დედამიწის ყველა ხალხის თანაარსებობის, თანამშრომლობისა და მეგობრობის მიზნით. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობის გამბატკიცება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, რომ განვითარდეს უაღრესად ფართო და ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობა სრული ურთიერთპატივისცემისა და თვითეული ქვეყნის იმ განუყოფელი უფლების საფუძველზე, რომ თავისუფლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური გზა.

ითვალისწინებს რა ორივე მხარის დაინტერესებას სავაჭრო ურთიერთობის განვითარებით თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე, აღნიშნულია კომუნიკეში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი თანახმაა შეისყიდოს კუბის რესპუბლიკისაგან 425 ათასი ტონა შაქარი 1960 წლის მოსავლისა და მომდევნო ოთხ წელიწადში ყოველწლიურად შეისყიდოს თითო მილიონი ტონა შაქარი.

სსრ კავშირის მთავრობა კუბის რესპუბლიკის მთავრობას აძლევს 100 მილიონ დოლარ კრედიტს წლიური 2,5 პროცენტის ანგარიშით სამანქანო მოწყობილობისა და მასალების შესასყიდად და ამ კრედიტის ანგარიშში 1961-1964 წლების მანძილზე, თუ საჭირო იქნა, ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობაში, რასაც ახორციელებს კუბის რესპუბლიკის მთავრობა.

ორივე მთავრობა თანახმაა მოხერხებულ დროს განიხილონ ის საკითხი, რომ განაახლონ დიპლომატიური ურთიერთობა სრული თანასწორობისა და დამოუკიდებლობის საფუძველზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას და კუბის რევოლუციურ მთავრობას, ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში, მიაჩნიათ, რომ მთავრობათა წარმომადგენლების პირდაპირი კონტაქტები ეფექტიანად უწყობენ ხელს ხალხების ურთიერთგაგებას, თანამშრომლობასა და მეგობრობას. ამიტომ ორივე მხარე დასაბუთებულ იმედს ამყარებს იმას, რომ უმაღლესი დონის მომავალი თათბირი მნიშვნელოვნად შეაღლებს საერთაშორისო დაძაბულობას, რომელიც ამჟამად ჩრდილს აყენებს კაცობრიობის უდიდესი ოცნების — თავისუფლების, აყვავებისა და მშვიდობის პერსპექტივებს.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲤᲝᲗᲔᲑᲐ

ლონდონი, 13 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი აკრიდან იუწყება, განის პრემიერ-მინისტრმა კვამე ნკრუმამ განაცხადა, რომ ყველა ფრანგული ფირმის ავუარები განაში აღგილზევე გაიყინება, დაწყებული დღეიდან მანამ, ვიდრე არ გამოირკვევა შედეგები, რაც განის მოსახლეობას მიაყენა საფრანგეთის მიერ წარმოებულმა ატომურმა აფეთქებამ.

იმავე სააგენტოს რაბათიდან გადმოცემული ცნობით, გაზეთმა „ალ-ამალმა" განაცხადა, რომ ატომური ბომბის აფეთქება საჰარაში „დანაშაულებრივი საქმეა", მაროკოელ ხალხსა და აფრიკის სხვა ხალხებს, წერს გაზეთი, მიაჩნიათ, რომ 13 თებერვალს მათი უფლებები და ინტერესები უხეშად გათელეს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ბათუმი. (საკ. კორ.). აქ დამთავრდა საქართველოს 1960 წლის პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: უმჩატეს წონაში — დ. დავითაიმ, მჩატე წონაში — თ. ტუხაშვილმა, ქვემსუბუქ წონაში — ზ. უგრეხელიძემ, მსუბუქ წონაში — რ. ძნელაძემ, ქვესაშუალო წონაში — ა. ქორიძემ, საშუალო წონაში — ზ. ჭითავამ, ქვემძიმე წონაში — ა. გველესიანმა, მძიმე წონაში — ა. ხაბეიშვილმა.

ᲣᲠᲦᲕᲔᲕᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

ორი დიდი ხალხის — საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევ მეგობრობას მიეძღვნა რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც გაიმართა 13 თებერვალს. კრება მოიწვიეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელის მოწერის ათი წლისთავთან დაკავშირებით.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ.

მოხსენება სახელოვანი წლისთავის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიცე-პრეზიდენტმა რ. დვალმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებამ ულღვევი და სამარადისო ძმობით შეაკავშირა ჩვენი ქვეყნები.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ დიად გამარჯვებებზე, რომლებიც საბჭოთა და ჩინელმა ხალხებმა მოიპოვეს. ორი ხალხის მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა აადვილებს და აჩქარებს მათი წინსვლის ტემპს.

კრებაზე გამოვიდნენ კვრამიკის კომბინატის მუშა პ. იუროვი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გ. კვარაცხელია, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი მ. ხანი, პოეტი ალიო მირცხულავა-მაშაშვილი.

XXVII ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ლენინგრადი. (სპეც. კორ.). სსრ კავშირის XXVII საჭადრაკო ჩემპიონატის მეორე ნახევარი მძაფრი ბრძოლით ხასიათდება. ახლა, ფინიშის წინ ყოველ ტურს, გათამაშებულ პარტიათა შედეგებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ რიგში ლიდერებისათვის, კერძოდ გროსმაისტერების ტ. პეტროსიანისა და ვ. კორჩნოისათვის.

მე-12 ტურში ყურადღების ცენტრში იდგა ამ ორი მოჭადრაკის შეხვედრა, მაგრამ პარტია ყველაზე მოკლე აღმოჩნდა. მოწინააღმდეგეებმა ადრე გაცვალეს ლაზიერები და მე-13 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ა. ლუტიკოვ- მ. ტაიმანოვის პარტიაში.

გროსმაისტერმა ი. ავერბახმა ძლიერად ჩაატარა ბრძოლა ე. გუფელდთან, მოიპოვა მატერიალური და პოზიციური უპირატესობა და 33-ე სვლაზე აიძულა მეტოქე დანებებულიყო. ბ. გურგენიძემ დაამარცხა ვ. ლიბერზონი, ვ. სმისლოვმა მოუგო ნ. კროგიუსს, ვ. ბაგიროვმა — ვ. სიმაგინს, ე. გელერმა — ინ. ნეიმ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ლენინგრადი. 14 თებერვალი. (სპეც. კორ.). გათამაშდა მე-13 ტური. სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. მან დაამარცხა დ. ბრონშტეინი. ბ. გურგენიძემ ვ. კორჩნოისთან შეხვედრაში დაკარგა ფიგურა და დამარცხება განიცადა. ე. გუფელდმა მოუგო ბ. სპასკის, მ. ტაიმანოვმა — ლ. პოლუგაევსკის, ი. ნეიმ — ა. სუეტინს. გროსმაისტერები ვ. სმისლოვი და ე. გელერი 25-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ლენინგრადი. 15 თებერვალი. (ტელეფონით, „კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს მოიწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ბრძოლის განუახლებლად ვ. ლიბერზონი დანებდა ტ. პეტროსიანს. ბ. სპასკიმ მოუგო ლ. შამკოვიჩს, ლ. პოლუგაევსკიმ — დ. ბრონშტეინს, ა. სუეტინმა — ი. სახაროვს, ნ. კოგიუსმა — ვ. სიმაგინს, ა. ლუტიკოვმა — ი. სახაროვს. ვ. ლიბერზონ — ი. ავერბახის პარტია ყაიმით დამთავრდა.

13 ტურის შემდეგ ლიდერი გახდა გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი, რომელსაც 10 ქულა აქვს. გროსმაისტერ კორჩნოის 9,5 ქულა აქვს, ე. გელერსა და ნ. კროგიუსს — რვანახევარ-რვანახევარი ქულა, მ. ტაიმანოვს — 7,5 ქულა.

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოეწყო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა შეხვედრა თბილისის დინამოელებთან მათთვის ბრინჯაოს მედლების გადაცემასთან დაკავშირებით.

საღამო გახსნა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს გასულ სპორტულ სეზონში მოპოვებული წარმატება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ვ. გრანატკინმა. მან სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის სახელით დინამოელებს გადასცა მესამე ხარისხის დიპლომები და ბრინჯაოს მედლები. ვ. გრანატკინმა „დინამოს" გუნდს გადასცა აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის მიერ დაწესებული გ. ფედოტოვის სახელობის გარდამავალი პრიზი — თასი ყველაზე მეტი ბურთის გატანისათვის, ხოლო კატრიკაძეს, ჩოხელს, ზეინკლიშვილსა და ბარქაიას გადასცა სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშნები.

გუნდის ახალ ამოცანებზე ილაპარაკა უფროსმა მწვრთნელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა შ. შავგულიძემ, თბილისის „დინამოელებს მიესალმნენ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელით სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. შავგულიძე, თბილისის კერამიკული კომბინატის მუშა გ. კვაჭაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერმუშაკი ე. მეხაბდე, ნორჩი ფეხბურთელები (პიონერები), აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. ბაიკაძე, მსახიობი ე. მანჯგალაძე, საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი — თ. ბადურაშვილი, პოეტი ი. ნონეშვილი.

დამსწრეთ გულთბილი მიღებისათვის მადლობა გადაუხადა გუნდის კაპიტანმა ა. ღოღობერიძემ.

თ. ბადურაშვილმა, გ. სიხარულიძემ, შ. შავგულიძემ, გ. კვეჭაძემ „დინამოს" გუნდს გადასცეს სიგელები, სამახსოვრო საჩუქრები.

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

მალე დაიწყება „ა" კლასის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების პირველობის გათამაშება მეორე ტური. ვაჟები ასპარეზობის დასკვნით ნაწილს გამართავენ ლენინგრადში, ხოლო ქალები ამ შეხვედრებს გააგრძელებენ კიევში 10-დან 18 მარტამდე.

პირველი ტურის შეხვედრები მოეწყო ბაქოში, კაუნასში, ტარტუსა და ლენინგრადში.

კაუნასის ტურში უძლიერესი აღმოჩნდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი, რომელმაც ხუთი შეხვედრიდან ხუთივე მოიგო. არმიელმა ქალათბურთელებმა დაამარცხეს ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი რიგის სკვო-ს გუნდი. ბაქოს ტურში წინ არის ბაქოს გუნდი.

ქალთა გუნდებს შორის ლენინგრადის ტურში დაწინაურდნენ ადგილობრივი არმიელი ქალათბურთელები, ხოლო ტარტუს ტურში პირველ მეორე ადგილს იყოფენ რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტისა და ტარტუს უნივერსიტეტის სასპორტო კლუბის გუნდები, რომლებსაც ოთხ-ოთხი ქულა აქვთ.

13 თებერვალს მოსკოვსა და ლენინგრადში შედგა ქალთა გუნდების ორი მატჩი. ლენინგრადის სკვო-მ დაამარცხა ადგილობრივი „ბურევესტნიკი" ანგარიშით 48:42, მოსკოვის „დინამომ" დედაქალაქის ელში 56:48.

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ

გრძელდება შეჯიბრება კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. სოფიის „აკადემიკისა" და სტამბოლის „ფენერბახჩეს" გუნდების მეორე მატჩი დამთავრდა მერვედფინალური შეხვედრები.

ამრიგად, თასისათვის მებრძოლთა რიგებს ვიკთა მ გუნდი შერჩა. ესენი არიან: რიგის სკვო-ს, თბილისის „დინამოს", სოფიის „აკადემიკის", ესპანეთის „სკ ბარსელონას", ვარშავის „პოლონიას", იუგოსლავიის „ოლიმპიას", ქალაქ როანის (საფრანგეთი) და პრაღის „სლოვან-ორბისის" გუნდები.

პირველი მეოთხედფინალური მატჩები უნდა დამთავრდეს 29 თებერვლამდე, ხოლო მეორე — 15 მარტამდე.

მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „